



MES 4 20 00348738



27/04/2020

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში Zoom სისტემის გამოყენებით, **2020 წლის 13 აპრილს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორა - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარიკა ზაქარეიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი;

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი).

ქრისტინე მეფარიშვილი - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ნინო ბაბალაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ნათია ვაჭარაძე - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი,

ირმა ნოზაძე - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე,

ნანა ჯანაშია - სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი,

კობა არაბული - პროფესიული გადამზადების პროგრამების ხელმძღვანელი

შპს - ტრანსკავკასიის ენერჯი

მამუკა სხვიტარიძე - დირექტორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

ნიკოლოზ მედულაშვილი

ქეთევან ჯანელიძე

სხდომა დაიწყო 16:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა. დაადგინა, რომ სხდომას ესწრებოდა საბჭოს 8 წევრი (არ ესწრებოდნენ ბახტაძე, ტალიაშვილი და მეზურიშვილი) და გამოაცხადა, რომ „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე, ხოლო ვიდეო ჩანაწერი აკრძალულია.

დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - რეგიონული დონის გამყოლი გიდი /00441/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;
2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ტუროპერატორი - რეგიონული დონე /00439/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;
3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ქალაქის/დედაქალაქის გიდი /00440/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;
4. შპს ტრანსკავკასიის ენერჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ლიფტების მონტაჟი და უსაფრთხო ექსპლუატაცია /00435/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულებებისმიერ საბჭოს წევრის აცილება ან საბჭოს წევრის თვითაცილება არ ყოფილა.

ნანი დალაქიშვილმა კომენტარი გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ კიდევ ერთხელ ტარდება საბჭოს სხდომა ონლაინ რეჟიმში და ამისთვის მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ყველას, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა. უკვე აიტვირთა პირველი აპრილის საბჭოს სხდომის ოქმი და 4 გადაწყვეტილება. ეს პირველი პრეცედენტი იყო ცენტრის პრაქტიკაში, რომ ი-ფლოუს საშუალებით ელექტრონულად აიტვირთა ოქმი და გადაწყვეტილებები და აიტვირთა ცენტრის ვებგვერდზე. მან აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დაწესებულებებს არ შეუფერხდება პროცესი. ეს მნიშვნელოვანია ცენტრისთვისაც, დაწესებულებებისთვისაც და საბჭოსთვისაც. ასევე მან აღნიშნა, რომ სხდომის დღის წესრიგში ოთხი საკითხია. აქედან სამი საკითხი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მინიჭების შესახებ და მეოთხე, ტრანსკავკასიის ენერჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ. მან შესთავაზა საბჭოს წევრებს, თუ მომხრენი იქნებოდნენ, დაეწყოთ პირველად მეოთხე საკითხის განხილვა და შემდეგ განეხილათ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული გადამზადების სამი პროგრამა. საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრები ერთხმად შეთანხმდნენ გამოქვეყნებული დღის წესრიგის რიგითობის შეცვლაზე, მეოთხე საკითხით დაეწყოთ და შემდეგ განეხილათ შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის გადამზადების სამი პროგრამა.

საბჭოს სხდომაზე პირველ საკითხად მოისმინეს:

1. შპს ტრანსკავკასიის ენერჯისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ლიფტების მონტაჟი და უსაფრთხო ექსპლუატაცია /00435/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა ვიზიტის დასკვნა შპს ტრანსკავკასიის ენერჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ლიფტების მონტაჟი და უსაფრთხო ექსპლუატაცია, სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ წარმოების ვადებიდან გამომდინარე ვიზიტი დიდი ხნის წინ განხორციელდა ტრანსკავკასიის ენერჯში. კერძოდ, ვიზიტი განხორციელდა 25 თებერვალს. ჩართული იყო დარგის მოწვეული ექსპერტი,

ნიკოლოზ მედულაშვილი. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დასკვნას საბჭოს წევრები გაცნობილი არიან, ასევე კომპანიაც.

ერთადერთი დაფიქსირებული ხარვეზი იყო 2.2 ქვესტანდარტში. კერძოდ, ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო 2019 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება - შპს არქიტრავსა და შპს ტრანსკავკასიის ენერჯის შორის, რომლის საფუძველზეც 2022 წლის 1 ივნისის ჩათვლით, სარგებლობაში გადაეცა შპს ტრანსკავკასიის ენერჯის აღნიშნულ მისამართზე განთავსებული უძრავი ქონება. აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრირებული არ იყო საჯარო რეესტრში. ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა დარეგისტრირების ფორმა, რომელსაც გაეცნენ ექსპერტები და ადასტურებენ, რომ ამ მხრივ ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრილია (პრევენტაციის ბოლოს ლანა გაჩეჩილაძემ წარუდგინა საბჭოს რეესტრის ამონაწერი, ხელშეკრულების დარეგისტრირების ფორმა).

მან აღნიშნა, რომ იყო რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ:

1.9 ქვესტანდარტი - სასურველია, სადემონსტრაციო ლიფტის სამანქანო განყოფილებასთან უსაფრთხო მისასვლელი დერეფნის და იატაკის / მოედნის მოწყობა.

2.1 ქვესტანდარტი - სასურველია, დოკუმენტალურად დადასტურდეს განმახორციელებელი პირების ჩართულობის ინტენსივობა სწავლის შედეგებთან / თემატიკასთან მიმართებაში.

2.2 ქვესტანდარტი - სასურველია, უსაფრთხოების კომპონენტების ცალკე დამოუკიდებელი პაკეტი (სიჩქარის შემზღვეველი; კაბინის დამჭერი; ბუფერი; კარის საკეტი მექანიზმი) იყოს წარმოდგენილი, ვინაიდან სასურველი არ არის აწყობილი ლიფტიდან მათი ხშირად მოხსნა, რაც საჭირო იქნება სასწავლო მიზნებისათვის ყველა ჯგუფის ყველა მსმენელისთვის.

2.3 ქვესტანდარტი - სასურველია, სასწავლო რესურსების ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობა მსმენელებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის დაწყებამდე სწავლის შედეგების თეორიული ნაწილის სრული პაკეტისთვის.

გასაუბრების ეტაპზე ორგანიზაციამ წარმოადგინა ელექტრონული რესურსები, რომელიც შეესაბამებოდა პროგრამას, თუმცა უმრავლესობა ამ სასწავლო რესურსისა იყო უცხო ენაზე. კერძოდ, თურქულ და რუსულ ენებზე. გასაუბრების ეტაპზე დაწესებულებამ აღნიშნა, რომ თუმცა ამ ეტაპზე სასწავლო რესურსს ფარავენ და ვერ მოახერხეს ქართულ ენაზე ყველა თემატიკის სასწავლო რესურსის თარგმნა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიენიჭებათ პროგრამის განხორციელების უფლება, ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომი ექნებათ ქართულ ენაზე. თურქეთის მხარეც ეხმარებათ თარგმნაში და ეს საკითხი იქნება განხორციელებული.

პროგრამას რაც შეეხება, არის გადამზადების პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში -7, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა-10 და განხორციელების ადგილია თბილისი, მარნეულის ქუჩა N46.

პრევენტაციის ბოლოს ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოზე წარმოადგინა დაწესებულების ფოტოები - აუდიტორია, სადაც მსმენელები მიიღებენ თეორიულ ცოდნას შესაბამისი აღჭურვილობით. იყო უმნიშვნელო შენიშვნები, რაზეც გამახვილდა ყურადღება, კერძოდ, გარე შესასვლელის უსაფრთხოებაზე. აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სხვა შესასვლელიდან არის უზრუნველყოფილი შესვლა, რაც უკვე პრობლემას აღარ ქმნის.

პრევენტაციის შემდეგ დაისვა კითხვები. **საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ ქუჩულორია** დაინტერესდა, რატომ იყო პრობლემა საჯარო რეესტრში არარეგისტრირებული ხელშეკრულება, რაზედაც ლანა გაჩეჩილაძემ უპასუხა, რომ ვინაიდან ეს ხელშეკრულება იყო ერთ წელზე მეტი ვადით. ის დაუკავშირდა საჯარო რეესტრსაც და ცენტრის იურისტებთანაც გაიარა კონსულტაცია და ვინაიდან ერთ წელზე მეტი ხნით არის დადებული ხელშეკრულება, სავალდებულოა საჯარო რეესტრის კანონის მიხედვით მისი რეესტრში გატარება. **მარიამ ქუჩულორიამ** გააკეთა განმარტება, როგორც იურისტმა. მან აღნიშნა, რომ, როგორც კი ეს კანონი შევიდა ძალაში, იჯარის ხელშეკრულებების დარეგისტრირების აუცილებლობა განისაზღვრა მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის. თუმცა მერე უზენაესმა სასამართლომ განმარტა, იჯარის წარმოშობა არ არის დაკავშირებული რეგისტრაციასთან, იმიტომ რომ კოდექსის მიხედვით,

მანც წარმოშობილად ითვლება. უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით არ წარმოადგენს ხარვეზს, თუმცა საჯარო რეესტრის კანონის მიხედვით-კი. **ლანა გაჩეჩილაძემ** საბჭოზე წარმოადგინა ახალი დარეგისტრირებული ხელშეკრულება, რითაც დადასტურებულია და ხარვეზი მოხსნილია.

ნანი დალაქიშვილი აღნიშნა, რომ, ეს პრობლემა ზოგადად ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოების დროსაც არის და თუ სასამართლომ განმარტა ამის შესახებ, კარგი იქნებოდა თუ ექნებოდათ სასამართლოს განმარტება ამ მუხლის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარე შეპირდა, რომ გამოგზავნიდა აღნიშნულ განმარტებას.

შემდეგ მოუსმინეს დარგის ექსპერტს, **ნიკოლოზ მედულაშვილს**. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, რაც არის გაცემული პროგრამისათვის, შემუშავდა ვიზიტის დროს. მას ჰქონდა საუბრები რამდენიმე ადგილობრივ სპეციალისტთან და ასევე ჰქონდა სატელეფონო საუბარი თურქ ლექტორთან. რაც შეეხება ადგილობრივ სპეციალისტებს, მან დაადასტურა, რომ ისინი კარგი პროფესიონალები არიან. ერთი, პროგრამას ვინც ახორციელებს, ის არ არის პროფესიონალი ამ სფეროში, თუმცა დიდი სურვილი აქვს შემოვიდეს ამ სფეროში. რაც შეეხება 1.9 სტანდარტის ფარგლებში რეკომენდაციას - დერეფნის მოწყობას, რაც მისი ჩართულობით მომზადდა. მისი აზრით, კარგი იქნებოდა თუ ჩაიდებოდა პირობა, რადგანაც არც ისე ძვირად შესასრულებელი რეკომენდაციებია. მან დაწესებულებას შეთავაზა, უსაფრთხოების კომპონენტი ცალკე ყოფილიყო და კაბინეტში იყოს ამ ნაწილების ნახვის შესაძლებლობა, რათა ადვილი იყოს მსმენელებისთვის მოქმედების მექანიზმის ახსნა. რაც შეეხება სასწავლო რესურსებს, მისი აზრით, აქაც პირობა უნდა ჩაიდოს, რომრამდენიმე ხნის შემდეგ, ან 6 თვეში წარმოადგინონ მასალა ქართულ ენაზე და უფრო მტკიცე საფუძველი გაუმარგონ ამ პროგრამას. რეკომენდაციები რაც ჩაიდო, უნდა შესრულდეს. მან აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო პროგრამაა და ძალიან საჭირო, იმიტომ რომ ლიფტების სფერო საერთოდ მივიწყებულია. სამწუხაროდ, არავინ ასწავლის. არცერთმა კოლეჯმა არ აირჩია. 2015 წელს გაკეთდა პროფესიული სტანდარტი, მაგრამ არცერთი კოლეჯი არ დაინტერესდა. ალბათ იმიტომ, რომ ხანგრძლივი იყო. ეს არის მოკლე პერიოდის პროგრამა და ჩადებულია მიღების წინაპირობა, რომ ერთი წელი მაინც უნდა ჰქონდეს გამოცდილება მსმენელს. ეს პროგრამა საშუალებას მისცემს ხალხს, რომ ლეგიტიმაცია გააკეთონ თავისი ცოდნის, გააღრმავონ ის. პრაქტიკულად ხალხი ამ სფეროში ძირითადად მოდის ქუჩიდან, ძალიან „მიგდებულია“ ეს საქმე და მისი აზრით უნდა მოხდეს დაწყება. რადგან ეს არის პირველი მერცხალი და უნდა მოხერხდეს ამ პროგრამის სწორი გზით წაყვანა და განვითარება.

ამის შემდეგ დარგის ექსპერტმა უპასუხა კითხვებს:

საბჭოს წევრმა, მარიკა ზაქარეიშვილი კომენტარი გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოს წევრებმა მოისმინეს ბევრი არგუმენტი. მან თქვა, რომ, ადრეც იყო მსჯელობა და ბევრი ნერვიულობაც იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ მოხდა ამ პროგრამისთვის უფლების მინიჭება. მაგრამ მაშინ მოხდა დანახვა და გაცნობიერება იმისა, რომ ეს იყო საჭირო დარგი, რომელშიც პროფესიონალები არ არიან. ასევე, როგორც მან აღნიშნა, ეს არის მოკლევადიანი მიზნებისთვის კარგი პროგრამა. რადგანაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აქვს მექანიზმი - მონიტორინგი. ორგანიზაციებს, რომლებსაც უფლებას ანიჭებენ, შემდეგ ექსპერტები ახორციელებენ მონიტორინგს. მონიტორინგი დამსჯელი ღონისძიება არ არის, არამედ განმავითარებელია. ძირითადად კეთდება რეკომენდაციები. ამიტომ ეს მექანიზმი შესაძლებელია ამუშავდეს აღნიშნულ ორგანიზაციასთან მიმართებაში. თუნდაც სწავლის დაწყებამდე გადათარგმნილი იყოს სასწავლო რესურსი. მისი აზრით ჩქარა უნდა დაიწყოს ფუნქციონირება ამ პროგრამამ, მითუმეტეს თუ ბაზარზე ამხელა პრობლემაა. თუ ორგანიზაციის წარმომადგენელი ისაუბრებს ამასთან დაკავშირებით თავიანთ გეგმებზე, ჩვენი მხრიდანაც, როგორც სამინისტროს წარმომადგენელი, თხოვს ცენტრს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მონიტორინგის პროცესს.

-დარგის ექსპერტი დაეთანხმა და ასევე აღნიშნა, რომ დარგის პროფესიონალი საქართველოში სულ რამდენიმეა და ისინიც რომ ჩაერთონ, თვითონაც უანგაროდ ჩაერთვება ოღონდაც ეს სფერო დაიძრას და განვითარდეს.

საბჭოს წევრი, **ნიკოლოზ მესხიშვილი** დაინტერესდა რეკომენდაციის 2,1 სტანდარტთან დაკავშირებით. მისი აზრით არ ჩანს ნათლად და თურქულ მხარესთან დაკავშირებითაც აინტერესებს, რა არის მათი ინტერესი. არ არის პროფესიონალები ადგილზე, თუ ხედვა არ აქვთ როგორ ისწავლებოდეს ეს პროგრამა.

-დარგის ექსპერტმა ამ კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ დაწესებულება აპირებს ისეთი სპეციალისტის ჩამოყვანას, რომელსაც გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, კოლეჯში სწავლების გამოცდილებაც აქვს. თუმცა არ მოხერხდა იმ ადამიანთან გასაუბრება, მაგრამ დოკუმენტაციის შესწავლის მიხედვით შეუძლია დაადასტუროს, რომ პროფესიონალია. მაგრამ პროგრამა როგორ არის წარმოდგენილი, საათები როგორაა განაწილებული და ვინ რას ასწავლის, დეტალები არ არის ჩაშლილი. მათ აქვთ დიდი ინვესტიცია ჩადებული, მაგრამ კიდევ არის დამატებითი ინვესტიცია საჭირო სასწავლო რესურსების ქართულად თარგმანისათვის. ამაზე მუშაობაა საჭირო, რადგან. უნდა შეიკრას ლიტერატურა და დალაგდეს, რა საკითხს რამდენი საათი აქვს დათმობილი. მაგალითად, თეორიული მასალა ერთი წარმოდგენილია რუსულ ენაზე, მეორე თურქულ ენაზე.

საბჭო წევრმა, **ნიკოლოზ მესხიშვილმა** დასვა კითხვა - „ამ შემთხვევაში დარგის ექსპერტი როგორ თვლის, ეს პროგრამა იმსახურებს განხორციელების უფლების მინიჭებას ამ მონაცემების თუ რეკომენდაციების მიხედვით?“

-დარგის ექსპერტის აზრით, შესამღებელია მიეცეს ავტორიზაცია კონტროლის პირობებში, უნდა იყოს დადებული პირობა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადათარგმნლი ექნებათ სასწავლო რესურსი ქართულ ენაზე. მათ კარგი პროგრამა აქვთ წარმოდგენილი, პროფესიონალის მიერ შედგენილი და მის მიერ მოწონებული. დამატებით რესურსებზეა საუბარი.

შემდეგ მოუსმინეს დაწესებულების წარმომადგენელს, **მამუკა სხვიტარიძეს**. მან მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს ვიზიტის დროს საჭირო რეკომენდაციების გაწევის გამო. მან თქვა, რომ პროგრამა მიღებულია თურქეთიდან, რაშიც ჩართულია თურქეთის საელჩო. ასევე გავლილია ქართველ სპეციალისტებთან ერთად. რაც შეეხება დამატებით რესურსებს, ეს მასალა იქნება ნათარგმნი. ასევე მათ მიღების კრიტერიუმებში ჩადებული აქვთ უცხო ენა. მასალები იქნება გადათარგმნილი და მიწოდებული მსმენელებისთვის, მაგრამ განვითარებისათვის, მსმენელებმაც უნდა შეძლონ უცხოურ ენაზე საჭირო მასალების, სიახლეების მოძიება და გაცნობა. რაც შეეხება თურქ სპეციალისტს, მათ მოწვეული ჰყავთ სუპერვაიზორად. ჩართული იქნება თურქული საელჩოც და ეს იქნება უსასყიდლოდ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან ყველა მიცემულ რეკომენდაციას და მზად არიან ყველა რეკომენდაცია შეასრულონ.

ლანა გაჩეჩილაძემ დააზუსტა, ვინაიდან ჯერ არ ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დოკუმენტალურად რაც არის გაწერილი, მოხდა მისი შესწავლა და გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენელთან და მან ნამდვილად დაინახა მზაობა, რასაც ადასტურებს.

საბჭოს წევრმა, ქრისტინე მეფარიშვილმა გამოთქვა აზრი, იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა იყოს მიღების წინა პირობად უცხო ენის ცოდნა. მისი აზრით, ლიფტის შეკეთება რომ შეძლოს ადამიანმა, ამისთვის უცხო ენის ცოდნა არ არის საჭირო. თუ ითარგმნება პროგრამა ქართულად, მაშინ უცხო ენის სწავლა არ უნდა იყოს პრიორიტეტი. აქ კვალიფიციურ მუშა-ხელზეა საუბარი, ლიფტის მონტაჟს სამ თვეში ვერ ისწავლიან. აქ ისწავლიან ტექნიკურად გამოცდილი ადამიანები, რომელთაც უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილება.

საბჭოს წევრ, **გიორგი გამყრელიძის** აზრი კი იყო, ხომ არ ჯობია ჩაიწეროს ქართული ენის ცოდნა, უცხო ენის ნაცვლად.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა, მან თქვა, რომ რამდენადაც მოუსმინა საბჭოს წევრების აზრს, მიხვდა, რომ მათ უმეტესობას აქვს აზრი გადამოწმდეს რეკომენდაციების

შესრულება რაღაც დროის შემდეგ. მთავრობის დადგენილების მიხედვით ცენტრი უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილების არსებობისას შეამოწმოს იურიდიული პირის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების პროცესი.

საბჭოს წევრების აზრით, კარგი იქნება გარკვეული პერიოდის შემდეგ, ცენტრს დაევალოს რეკომენდაციების განხორციელების შესრულების მონიტორინგიც. დარგის ექსპერტის აზრითაც, ეს მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, დაამატა რომ საბჭომ გაითვალისწინა ორგანიზაციის მიერ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ხარვეზის გამოსასწორებელი დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტების და საბჭოს წევრების მიერ მისაღებად ჩაითვალა, ასევე, საბჭო ითვალისწინებს ორგანიზაციის დიდ გამოცდილებას, ზეპირი მოსმენისას წარმოდგენილ არგუმენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ტრანსკავკასიის ენერჯისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ლიფტების მონტაჟი და უსაფრთხო ექსპლუატაცია /00435/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს ტრანსკავკასიის ენერჯის (ს/კ: 206328758) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლიფტების მონტაჟი და უსაფრთხო ექსპლუატაცია/00435 (დანართი №1).

2-4. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამების - ტუროპერატორი - რეგიონული დონე/00439/, ქალაქის/დედაქალაქის გიდი /00440/, რეგიონული დონის გამყოლი გიდი /00441/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

საბჭოს წევრების მხრიდან იყო შეთავაზება, პრეზენტატორს სამივე პროგრამა წარმოედგინა ერთად, ხოლო ხარვეზები და რეკომენდაციები გამოეკვეთა ცალ-ცალკე. ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ ისაუბრა, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ შემდეგ პროგრამებზე: „რეგიონული დონის გამყოლი გიდი“, „ტუროპერატორი - რეგიონული დონე“ და „ქალაქის / დედაქალაქის გიდი“. სამივე გადამზადების პროგრამაა. პროგრამები დაწესებულებამ წარმოადგინა განმეორებით, საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციით. წინა ვიზიტის დროს გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ ვინაიდან წარმოდგენილი სამივე პროგრამა ითვალისწინებდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, გაეფორმებინათ

ხელშეკრულებები დამატებით სხვა ტურისტულ კომპანიებთან. შესაბამისად დაიღო ხელშეკრულებები უნივერსიტეტსა და „ინტრაველ ჯორჯიას“ შორის, „ინტრაველ ჯორჯიასა“ და „დიქავერ ჯორჯიას“ შორის და „ინტრაველ ჯორჯიასა“ და „დესთინეიშენ ჯორჯიას“ შორის. რაც შეეხება თვითონ პროგრამებს, მხოლოდ პირველი სტანდარტის შეფასება მოხდა, რადგან შესწავლა სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ვიზიტის გარეშე განხორციელდა. ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია. გამოსწორებულია ის შენიშვნები, რაც მიცემული იყო წინა ვიზიტის დროს. ეს ეხებოდა დაშვების წინაპირობას, კერძოდ, რეგიონალური დონის გამყოლი გიდის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია შემდეგი: პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება (ტურიზმის, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ან გეოგრაფიის სფეროში) ან პირი, რომელსაც აქვს გიდად მუშაობის (ნებისმიერ ტურისტულ კომპანიაში) მაქსიმუმ 2 წლიანი გამოცდილება ან პირი, რომელიც სწავლობს ტურიზმის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსზე. დამატებითი მოთხოვნაა ჩადებული: ერთ-ერთი უცხო ენის ფლობა A2 დონეზე. პრობლემაა, ის რომ დაწესებულებას აქვს პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების წესი და იქ წერია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამებზე რეგისტრირებულ პირთა შერჩევა წარმოებს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების და ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B1/B2 დონეზე ფლობის დადასტურება, ტესტირების შედეგების საფუძველზე. წარმოდგენილ პროგრამასა და ამ წესს შორის დარღვეულია თანხვედრა. ეს იყო რეკომენდაცია, რომ გასწორებულიყო დაშვების წინაპირობები, დადგენილიყო უცხო ენის პრეტესტის ჩატარების რეგულაციები და ასევე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს პირი, რომელიც ეწეოდა ტურისტების მომსახურებას როგორც გიდი და აქვს პროფესიული განათლება ტურიზმის მიმართულებით.

რაც შეეხება მეორე პროგრამას - „ტუროპერატორი-რეგიონული დონე“, აქაც დაშვების წინაპირობა არის ტუროპერატორად მუშაობის (ნებისმიერ ტურისტულ კომპანიაში) გამოცდილება - 2 წელი ან პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება (ტურიზმის, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ან გეოგრაფიის სფეროში) და შესაბამისი მიმართულებით (მუშაობა ტურისტულ კომპანიაში) 1 წლიანი გამოცდილება ან პირი რომელსაც აქვს შესაბამისი (ტუროპერატორის კვალიფიკაცია) პროფესიული განათლება და შესაბამისი მიმართულებით (მუშაობა ტურისტულ კომპანიაში) 1 წლიანი გამოცდილება. აქ შენიშვნა მდგომარეობდა შემდეგში, რომ პროგრამის აღწერილობით ნაწილში არის ჩანაწერი, რომ „მსმენელები განაახლებენ თავის ცოდნას ისეთ საკითხებში როგორებიცაა: კონკრეტული რეგიონის ისტორია და ეთნოლოგია საქართველოს ისტორიის კონტექსტში, კულტურა და ხელოვნება, ტურისტული საქმიანობა, მარკეტინგი, ტურისტული პროდუქტის შექმნის მეთოდოლოგია და ტექნიკა, მისი რეკლამისა და პრომოუშენის ამოცანები, კორპორატიული იმიჯი, საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები. ამ ჩანაწერის შესაბამისად ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების, გეოგრაფიის სფეროს წარმომადგენლებისათვის აღნიშნული პროგრამა ვერ იქნება გადამზადების გარანტი, რადგან წარმოდგენილი პროგრამა გულისხმობს რიგი პროფესიული ცოდნა უნარების განახლებას და ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების, გეოგრაფიის სფეროს წარმომადგენლებს არ აქვთ წინარე ცოდნა ტურიზმის მიმართულებით. აქ შეიძლება დაზუსტდეს, კონკრეტულად ტუროპერატორად მუშაობის გამოცდილების შესახებ, რადგან ტურიზმის მიმართულებით მუშაობა არ ნიშნავს ტუროპერატორად მუშაობის გამოცდილებას. რეკომენდაცია მიეცათ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები. ანალოგიური შენიშვნაა მესამე პროგრამაშიც - „ქალაქის/დედაქალაქის გიდი“. საუბარია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაზე. განსაზღვრულია პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება (ტურიზმის, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ან გეოგრაფიის სფეროში) და შესაბამისი მიმართულებით მუშაობის (გიდად ან მძღოლ-გიდად) 1 წლიანი გამოცდილება ან პირი რომელსაც აქვს შესაბამისი (გიდის კვალიფიკაცია) პროფესიული განათლება და შესაბამისი მიმართულებით მუშაობის (გიდად ან მძღოლ-გიდად) 1 წლიანი გამოცდილება ან პირი, რომელიც სწავლობს

ტურიზმის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსზე და დამატებითი მოთხოვნა ერთ-ერთი უცხო ენის ფლობა B2 დონეზე. პროგრამის აღწერილობით ნაწილში არის ჩანაწერი, რომ „მსმენელები განაახლებენ თავის ცოდნას ისეთ საკითხებში როგორცაა: ქალაქის (დედაქალაქის) ისტორია საქართველოს ისტორიის კონტექსტში, კულტურა და ხელოვნება, გიდობის მეთოდოლოგია და ტექნიკა, თანამედროვე ქალაქი/დედაქალაქი როგორც კომპლექსური დესტინაცია, მისი განუმეორებელი ხიბლი, ქალაქისა და მისი უბნების ტოპოგრაფია, ინფრასტრუქტურული ანალიზი, მეტყველების კულტურის ძირითადი მოთხოვნები. აქ არ არის დაკონკრეტებული დედაქალაქზე საუბარი თუ რომელიმე სხვა ქალაქზე. სავარაუდოდ ალბათ დედაქალაქზე. აქ შეიძლება სხვა ქალაქიც იყოს წარმატებულად, მაგალითად თელავი, ქუთაისი და სხვა. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ეს საკითხი ცოტა ბუნდოვანია და ჯობდა კონკრეტულად ყოფილიყო. ამის შესახებ წინა ვიზიტზეც იყო საუბარი და მიეცათ რეკომენდაცია გასწორებულიყო. ამავე დროს, ამ ჩანაწერის შესაბამისად ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების, გეოგრაფიის სფეროს წარმომადგენლებისათვის აღნიშნული პროგრამა ვერ იქნება გადამზადების გარანტი, რადგან წარმოდგენილი პროგრამა გულისხმობს რიგი პროფესიული ცოდნა უნარების განახლებას და ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების, გეოგრაფიის სფეროს წარმომადგენლებს არ აქვთ წინარე ცოდნა ამ მიმართულებით. რაც შეეხება დანარჩენ საკითხს, დოკუმენტაციას, რაც წარმოადგინა დაწესებულებამ, ყველაფერი მოყვანილია სისრულეში. გამოსწორებულია ის შენიშვნები და რეკომენდაციები და ხარვეზები რაც იყო ვიზიტის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა **ნათია ვაჭარაძემ** დააზუსტა, რომ ამ პროგრამებთან დაკავშირებით ჰქონდათ საუბრები, კონსულტაციები, რეკომენდაციები, ბევრი იმუშავა პროგრამის განმავითარებელმა ჯგუფმა და გამოიკვეთა პოზიცია, რომ ერთი პროგრამით ვერ მოხერხდებოდა ამ საკითხების შესრულება, დრო არ ეყოფოდათ ერთი პროგრამით განხორციელებულიყო და ამიტომ მოხდა სამი პროგრამის წარმოდგენა. გათვალისწინებულია ყველა ის რეკომენდაცია თუ შენიშვნა რაც მიეცათ. მოყვანილი აქვთ შიდა რეგულაციით შესაბამისობაში. დოკუმენტაციის ატვირთვაში იყო ტექნიკური ხარვეზი. ეს არ იყო დაწესებულების მხრიდან, ეს იყო ელექტრონული სისტემის ტექნიკური პრობლემა.

საბჭოზე თავისი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა, **პროგრამების ხელმძღვანელმა კობა არაბულმა**. მან აღნიშნა, რომ ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია, რაც ვიზიტის დროს იყო მოცემული, გათვალისწინებული და შესრულებულია. რაც შეეხება ენების დონეს, ოპერატორის პროგრამაზე მათ ჩადეს B1 და გიდის ორივე პროგრამაზე, B2 დონე. ეს იყო საბჭოს სერიოზული რეკომენდაცია და იქნა სრულად გაზიარებული. გიდისთვის განისაზღვრა B2 დონე და ტუროპერატორისთვის B1 დონე. მან ისაუბრა პროგრამის შესახებაც. დააფიქსირა არა მარტო თავისი, არამედ უნივერსიტეტის პოზიცია. კერძოდ, გიდი, რომელსაც აქვს ტურიზმის სპეციალობა და მერე ყველა ის სპეციალობები, რაც ჩამოთვლილია, ახლოსაა ამ სპეციალობასთან და აძლევს მას გარკვეულ თეორიულ მარაგს. ასევე შესამაბისი მიმართულებით გამოცდილება, მისი აზრით, როცა გიდი და ოპერატორი მოდის გადამზადებაზე, მას სწორედ გიდის და ოპერატორის გამოცდილება უნდა ქონდეთ. როცა ტურებზე მოთხოვნა იზრდება, გაჩნდა კვალიფიკაციის მხრივ სერიოზული მოთხოვნა და შესაბამისად, თვლის, რომ თუკი შესაბამისი მიმართულებით მუშაობის ერთი წელი და მეტი გააჩნია ადამიანს, გარკვეული საბაზო ცოდნა აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რა იყო მისი სასტარტო განათლება, რომელიც მიიღო უმაღლესში, ყველა ის სპეციალობა, რაც მითითებულია ჩამონათვალში, ძალიან ახლო კავშირშია გიდის და ოპერატორის პოზიციასთან. რადგან მათ უნდა იცოდეს ქვეყნის ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და ა.შ. საკითხები. სამივე პროგრამა ერთი და იგივე სქემით არის ჩამოყალიბებული, ყველა რეკომენდაციის შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ A2 დონე ჩნდება ისევ პროგრამაში, როცა უკვე აღარ არის პროგრამაში. ენის მოთხოვნა არის ოპერატორზე - B1 დონე და გიდებზე, ორივე კატეგორიაზე - B2. ასევე მან დააფიქსირა თავისი პოზიცია, როცა ლაპარაკია ქალაქის/დედაქალაქის გიდის ტერმინზე. რომელი დედაქალაქი, ამაში ეჭვი არავის ეპარება,

რომელზეა საუბარი, რაც შეეხება ქალაქს, ზოგადად აქვთ დაწერილი - დედაქალაქის/ქალაქის გიდი, იმისდა მიხედვით, თუ ჯგუფში მსმენელი საიდან არის და ამის მიხედვით გაკეთდება ჯგუფი, რადგან ტურიზმი საქართველოს ყველა ქალაქში ვითარდება და ყველას ჭირდება თავისი მაღალკვალიფიციური გიდი. ამიტომ ჩაიწერა პროგრამაში ზოგადად დედაქალაქი და ქალაქი.

საბჭოს წევრმა, **გიორგი გამყრელიძემ** რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. პირველი ეს არის გიდების პროგრამები, მან აღნიშნა, რომ რეგიონალურ გიდსა და დედაქალაქის/ქალაქის გიდს შორის პრინციპული განსხვავება ვერ დაინახა. შეიძლება ეს ორი პროგრამა, ერთ პროგრამად ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება ზოგადად უცხოური ენის გამოცდილებას, ზოგადად, ბევრ ქვეყანაში, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში გიდის პროფესია არის რეგულირებული საქმიანობა. ანუ, სანამ არ ჩააბარებ და სერთიფიკატს არ აიღებ სპეციალურ ლოტზე, ვერ მიიღებ უფლებას გაუწიო მომსახურება ტურისტს. დანარჩენ შემთხვევაში, ისჯება ადმინისტრაციული სასჯელით. ეს არ არის სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა, როცა შემოწმების შედეგად, თუ არ იქნება შესაბამისი სერთიფიკატი, ჯარიმდება. მეორე საკითხი, რაზეც მან ისაუბრა, ეს არის ენის ცოდნა და ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. მისი აზრით, ზოგადად უცხო ენის ცოდნა ყველაზე პრობლემატური საკითხია საქართველოში, არა მარტო გიდისათვის, არამედ ნებისმიერი სპეციალობის მქონე ადამიანისათვის და B1 და B2 დონის მცოდნე ადამიანი ძნელად საპოვნია, როგორც ინგლისური ასევე სხვა ენების მცოდნე. და მას აინტერესებდა, როგორ უნდა მოხდეს ცოდნის დადასტურება. რაც შეეხება მესამე საკითხს, გიდობას, გიდობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, გინდა ფიზიკოსი იყოს, ან მატემატიკოსი ან ნებისმიერი სპეციალობის ადამიანი, მთავარია კარგად ფლობდეს იმ კონკრეტულ ადგილს და კარგად ქონდეს შესწავლილი იმ ლოტის თითოეული ნაწილი. რაც შეეხება მეორე - ტუროპერატორის პროგრამას, პროგრამის ამოცანები იყო ძალიან მრავალმხრივი და როგორც მან აღნიშნა, ძალიან რთული იქნება ყველა საკითხის მოცვა. მისი აზრით, ძალიან კარგი იქნება თუკი ფოკუსირებას მოხდებოდა ორ ან მაქსიმუმ სამ საკითხზე და ამ საკითხის ირგვლივ მოხდეს ტუროპერატორის მომზადება.

საბჭოს წევრმა, **მარიკა ზაქარეიშვილმა** კომენტარი გააკეთა უცხო ენასთან დაკავშირებით, რადგან ის იყო, ვინც ითხოვდა ეს კომპონენტი დამატებოდა, რადგან გიდზეა ლაპარაკი და ტურისტებზე, არსებობს გამოცდილება, რომ გიდმა, მიუხედავად იმისა, რომ აქვს კარგი კომუნიკაცია, ნაკლებად იცის უცხო ენა. ვთხოვდით უცხო ენის ცოდნა ჩაედო დაწესებულებას პროგრამის წინაპირობად. ასევე მას აინტერესებდა როგორი იქნება სწავლების პრაქტიკული კომპონენტი, რადგან გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორებთან.

-კობა არაბულმა უპასუხა გიორგი გამყრელიძეს და შემდეგ მარიკა ზაქარეიშვილს. მან თქვა რომ სრულად იზიარებს გიორგი გამყრელიძის დამოკიდებულებას დონესთან დაკავშირებით, გიდების მომზადების სტატუსთან დაკავშირებით და გიდის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებითაც. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხიარ არის მათი კომპეტენცია. არ არის შესაბამისი კანონმდებლობა, რაც უნდა იყოს საქართველოში, რადგან უნდა ხდებოდეს სერთიფიცირება. ჩააბაროს გამოცდა და მიიღოს შესაბამისი დოკუმენტი, არ ხდება. თუმცაღა არიან მხარდაჭერნი, ასეთი სისტემა ჩამოყალიბდეს. ამ კუთხით იზიარებს გიორგი გამყრელიძის მოსაზრებას და შეხედულებას, მაგრამ ამას ისინი ვერ წყვეტენ. რაც შეეხება სწავლებას, ვერ იზიარებს ბოლომდე ამ დამოკიდებულებას, რადგან მათი გადამზადების პროგრამა, ძალიან მოკლე-მოკლე ბლოკებით ახსენებს ოპერატორებს თუ რამე სიახლეა და ეს ინფორმაცია მისი აზრით, უნდა მიეწოდებოდეს, რამეთუ გადამზადება ამ კომპონენტებს უნდა ითვალისწინებდეს. მისი აზრით, შინაარსში შეიძლება გაუთავებლად კამათი, თუ როგორ შეიძლება მისი სრულყოფა, იმიტომ რომ, ეს არის დაუსრულებელი პროცესი, რომელიც მომავალში შეიძლება სრულყოფილი იყოს. არის გამოცდილება და მას მიაჩნია რომ თვითონაც და მის გუნდს შეუძლიათ ტუროპერატორის და გიდის გადამზადება. ამ შემთხვევაში, საუბარია ადამიანებზე, რომლებიც მუშაობენ ან აქვთ გარკვეული გამოცდილება. აქვთ შესაბამისი გარკვეული თეორიული ცოდნა, ადეკვატური თავისი მომავალი პოზიციის. ამიტომ, ის თვლის და დარწმუნებულები არიან ამ პროგრამებით

ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია. რაც შეეხება **მარკა ზაქარეიშვილის** ინტერესს პრაქტიკის საკითხთან დაკავშირებით, **კობა არაბულმა** უპასუხა, რომ აქვთ 20 გვერდიანი დოკუმენტი, პრაქტიკის მომზადებისა და ჩატარების გეგმა. მათ ჰყავთ ოთხი თანაპარტნიორი კომპანია და ხელშეკრულებები გაფორმებულია მათთან. არის ძირითადი ტურისტული კომპანია, რომელიც დიდი ხანია მუშაობს უნივერსიტეტთან და მუშაობს არა მარტო ამ პროგრამის ფარგლებში, არამედ ის მუშაობს აკადემიური მიმართულების სტუდენტების პრაქტიკების ორგანიზებასთან დაკავშირებითაც. გაკეთებულია სასწავლო მეთოდური ცენტრი, როგორც სტუდენტების, ასევე მომავალი მსმენელებისთვის და თუკი დადებითად გადაწყდება და იქნება საშუალება განახორციელონ ეს პროგრამები, არის საჭირო პრაქტიკის ობიექტები. აქვთ სასწავლო-პრაქტიკის პროგრამა, როგორც ტუროპერატორებთან ისე გიდებთან.

ნინო ბაბალაშვილმა, როგორც საბჭოს აპარატის წარმომადგენელმა, გააკეთა კომენტარი, რომ რეკომენდაციები, რაც დასკვნაში იყო, არის გამოსწორებული. მან აღნიშნა, რომ ყველაზე მეტი ხარვეზი იყო პროგრამულ ნაწილში- პირველ სტანდარტში, ამიტომაც მეორე ეტაპზე მოხდა მხოლოდ პროგრამული ნაწილის შეფასება. მეორე სტანდარტში ფაქტობრივად არცერთი ხარვეზი არ იყო და მესამე სტანდარტში მხოლოდ ერთი ქვესტანდარტის შესახებ იყო რეკომენდაცია, რომ ჩარიცხვის და შერჩევის წესი კიდევ უფრო დახვეწილიყო და შესაბამისობაში ყოფილიყო ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან, რომელიც ზუსტად ითვალისწინებს კონკრეტულად ამ მომზადება/გადამზადების პროცედურას. აგრეთვე საუბარი იყო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ იმუშავა და შემოვიდა ახალი ხელშეკრულებები და გაწერილი წესი, რომლის განხილვაც მოხდა ექსპერტთან ერთად და წესი ნამდვილად არის დახვეწილი და ხელშეკრულებებიც არის წარმოდგენილი. დარჩა პირველი სტანდარტი, რომელიდანაც, როგორც დარგის ექსპერტმა მოგვახსენა ყველა ქვესტანდარტი არის დახვეწილი და შესწორებული და მხოლოდ დარჩა სამივე პროგრამაში ერთი, დაშვების წინაპირობაზე კვლავ შენიშვნები. ერთ-ერთ პროგრამაში რეგიონულ გიდის პროგრამაში კვლავ უცხო ენის დონე A2 ჩარჩენილი, არადა იმ დროს, შეფასების წესში დაწესებულებას ნამდვილად გამოსწორებული აქვს იმ ზოგად რეგულაციაშიც B1 და B2 აქვთ ჩადებული. მან განმარტა, რომ ექსპერტმა, ქეთევან ჯანელიძემ შეისწავლა დოკუმენტაცია, ის ვერსია, რაც QMS-ში იყო ატვირთული. და ასევე 2020 წლის 23 იანვარს ცენტრში შემოსული დოკუმენტაცია, რომელიც ოფიციალურად დარეგისტრირდა. ეს დოკუმენტაციაც მიეწოდა ექსპერტს და სამწუხაროდ, აქაც იგივე ვერსია ქონდათ წარმოდგენილი. გასწორებული ვერსია არ იყო წარმოდგენილი. მოხდა ტექნიკური შეცდომა და არც ოფიციალურად შემოტანილში და არც QMS-ში ატვირთულში ის ერთი პროგრამა არ არის განახლებული და ისევ A2 ჩარჩენილი.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ საბჭოს აპარატის თანამშრომლები ყველა კონკრეტულ შემთხვევაში და მითუმეტეს, ამ დაწესებულების შემთხვევაშიც, იყვნენაკურატულები, რათა მიეცათ დაწესებულებისთვის საშუალება, რასაც გამოასწორებდა, მისულიყო ყველა დოკუმენტაცია ექსპერტამდე. მან ასევე აღნიშნა, რომ დაინტერესებული არიან ქვეყნისთვის ასეთი საჭირო პროგრამების განხორციელებით, რადგან ქვეყანაში დგას გიდების მომზადების პრობლემა. ის პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამები, რომლებიც 2016 წელს დამტკიცდა, ვერ წავიდა წარმატებით. ბოლოს საერთოდ გაუქმდა საკვალიფიკაციო გიდი და ტუროპერატორი. ამიტომ როგორც ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, ნამდვილად არაფერი შეშლიათ, ეს ტექნიკური ხარვეზი იყო ან ის, რომ გამოგზავნის დროს ჩქარობდნენ ან შესაძლოა QMS-მა ერთი და იგივე დოკუმენტი ჩაანაცვლა და შესაძლოა ის ძველი ჩამოტვირთულები გამოიგზავნა. ზოგადად, გიდების რეგულაციას, დღემდე ეს საკითხი ქვეყნის პრობლემაა. რამდენადაც ცნობილია მთავრობა, სააგენტოც მუშაობენ იმაზე, რომ გიდების სერთიფიცირება იქნეს შემოღებული, მაგრამ ცოტა მძიმედ მიდის ეს საკითხი.

საბჭოს წევრმა, **გიორგი გამყრელიძემ** თქვა, რომ ორი საკითხი ახსენა და ამ ორ კითხვაზე ვერ მიიღო პასუხი. ერთი იყო რეკომენდაცია, რომ გიდების ორივე პროგრამა გაერთიანდეს ერთ პროგრამად, რადგან ორივე არის იდენტური. მეორე, უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი რა შეიძლება იყოს.

-ქეთევან ჯანელიძემ ენებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა, მან თქვა, რომ დაწესებულებას აქვს დამტკიცებული წესი, ამ პროგრამების განხორციელების შესახებ. გასაუბრების დროსაც იყო დასმული ეს შეკითხვა, რამდენად ჰქონდათ რესურსი და როგორ შეამოწმებდნენ ენების ცოდნას. დაწესებულებამ განაცხადა, რომ რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული ენის რესურსი აქვთ და მათ შეუძლიათ ჩაატარონ ტესტირება თვითონ, თავიანთი დადგენილი წესით და დაადგინონ რა დონეზე ფლობს. უნდა ჩააბაროს მსმენელმა და დაწესებულებამ უნდა დაუდასტუროს მას ეს ცოდნა. რაც შეეხება იმ საკითხს, ორი პროგრამის იდენტურობის შესახებ, მან აღნიშნა, რომ ეთანხმება ბატონ გიორგის, რომ ეს ორივე პროგრამა ერთმანეთს გავს და შეიძლება გაერთიანდეს.

კობა არაბულმა თავისი მოსაზრება მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ არ ეთანხმება მოსაზრებას, ქალაქის და რეგიონული გიდის პროგრამა ორივე ერთი და იგივე პროგრამაა. მათი მიდგომა, კონცეფცია, მიზანი, რაც დაისახეს, იყო ვიწრო სპეციალიზაცია და რაც შეიძლება სიღრმისეული სწავლება. მათ აქვთ პოზიცია, რომ ქალაქს ჰყავდეს თავისი გიდი, მაგრამ რეგიონული გიდი, არა მარტო ერთი კონკრეტული ქალაქის გიდი, ეს არის გამყოლი გიდი, რომელიც ახლავს თან ტურისტულ ჯგუფს, მისი საქმიანობის ძირითადი სპეციფიკა არის არა მარტო კონკრეტული ადგილის, არამედ უფრო ფართო გეოგრაფიული არეალის ცოდნა და გადმოცემა. ის თვლის, რომ ამ პროგრამით უნდა მოხდეს ტუროპერატორების და გიდების გადამზადება საკმაოდ კონკრეტულ, გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ სპეციალისტებად, ოღონდ მაქსიმალურად უნდა ჩააღრმავონ თავისი საქმის ცოდნაში. მაქსიმალურად დიდი ინფორმაცია მიეცეთ სწორედ იმ ქალაქზე თუ რეგიონზე, რომლის შესაბამის სპეციალისტებად იქნებიან შემდგომში.

ნათია კვიციანი განმარტება გააკეთა პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მისი აზრით საინტერესო მიდგომაა და აბსოლუტურად ეთანხმება, რომ ხარისხის თვალსაზრისითაც ჯობია პროგრამა იყოს უფრო ჩაღრმავებული. მას აინტერესებდა კონკრეტულად თუა ჩამოყალიბებული რომელ კონკრეტულ რეგიონზე და ქალაქებზეა არსებული მასალები, რადგან ბევრი მიმართულებებით შეიძლება იყოს გიდობა.

-კობა არაბულმა უპასუხა, რომ თეორიული მასალა მსმენელებისთვის საკმაოდ ბევრი აქვთ. მათ თავი მოუყარეს უამრავ ქართულ და არაქართულ მასალას, რაც შეიძლება წიგნის შიდა ბაზარზე არსებობდეს. აგრეთვე, არის ბიბლიოთეკა უნივერსიტეტში, სადაც არის გარკვეული ლიტერატურის მარაგი და სასწავლო მეთოდური ცენტრის ბიბლიოთეკა ტურიზმზე ორიენტაციით, სადაც მოუყარეს თავი ყველა იმ მასალას, რაც წლების მანძილზე ჰქონდათ ნაგროვები მას და მის კოლეგებსაც. მან აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი კოლეგაა ჩართული ამ პროცესში. ყველა მათი ელექტრონული თუ ბეჭდური პროდუქცია თავმოყრილია.

ქეთევან ჯანელიძემ დაამატა, რაზეც კობა არაბული საუბრობდა, მასალებთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ როცა ვიზიტის დროს ნანახი აქვს ეს ლიტერატურა და სხვა ბევრი თვალსაჩინოება, ფლაიერები, სხვადასხვა ტურისტული კომპანიების სარეკლამო მასალები. ამ მხრივ, მართლაც ძალიან კარგად არის მოწესრიგებული. **ქეთევან ჯანელიძემ** აგრეთვე შესწორება ითხოვა. მან აღნიშნა, რომ ორი ტექნიკური ხარვეზია გაპარული მისი მხრიდან დასკვნაში. ერთი არის, რომ მარტო სახელწოდება ქალაქის/დედაქალაქის გიდი წარმოდგენილი იყო სლემით, მაგრამ მან რატომღაც დეფისით გადმოიტანა, კოპირებით აქვს ალბათ არასწორად გადმოტანილი. აზრობრივად დიდად ეს არაფერს არ ცვლის, მაგრამ მან ხაზი გაუსვა, რომ ეს მისი მხრიდან ტექნიკური ხარვეზია და ერთი პატარა ხარვეზია აგრეთვე დაფიქსირებული კურიკულუმში. ტუროპერატორი - რეგიონული დონე, 8 კვირაა სინამდვილეში პროგრამაში. მისი მხრიდან დასკვნაში, ცხრილში-9 კვირა წერია და გასასწორებელია.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, იმიტომ რომ საბჭოს აპარატი, ვინც გადაწყვეტილებების პროექტებს ამზადებს, ექსპერტების დასკვნას დაკარგია რომ ეს აღინიშნა სხდომაზე და მოგვეცემა შესაძლებლობა დასკვნის

კორექტირებული ვარიანტი გადავიტანოთ გადაწყვეტილებაში. ეს ოქმშიც დაფიქსირდება, იმიტომ რომ, მერე თუ დასკვნის ნახვის აუცილებლობა გაჩნდება, ეს შეუსაბამობა ოქმით იქნება გამართული და დადასტურებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ტუროპერატორი - რეგიონული დონე /00439/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შემდეგ, საბჭოს წევრი თორნიკე ჯობავა 18:11 საათზე გავიდა საბჭოს სხდომის ონლაინ რეჟიმიდან.

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებელი საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 202192643) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ტუროპერატორი - რეგიონული დონე/00439 (დანართი №2).

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული გადამზადების მეორე პროგრამას - **ქალაქის/დედაქალაქის გიდი/00440/ .**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - **ქალაქის/დედაქალაქის გიდი/00440/ / - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და

პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 202192643) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ქალაქის/დედაქალაქის გიდი/00440(დანართი №3).

საბჭომ კენჭი უყარა მესამე პროგრამასაც - **რეგიონული დონის გამყოლი გიდი/00441/** .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - **რეგიონული დონის გამყოლი გიდი/00441/** განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი -2

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 202192643) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - რეგიონული დონის გამყოლი გიდი/00441

საბჭოს წევრმა, **ქრისტინე მეფარიშვილმა** გააკეთა კომენტარი, რომ უარი დააფიქსირა ორივე გიდის პროგრამაზე, ტუროპერატორზე კი თანხმობა განაცხადა. მისი აზრით, გიდების შემთხვევაში საჭირო იყო მეტი ყურადღების დათმობა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე, ვიდრე თეორიულზე. საბჭოს წევრმა, **გიორგი გამყრელიძემაც** დაასაბუთა თავისი უარი რეგიონული დონის გიდის პროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განხვავება ვერ დაინახა ქალაქის /დედაქალაქის გიდის პროგრამასთან, რაც კითხვაშიც ასახა. გიდის ორი პროგრამა თავისუფლად შეიძლება გაერთიანდეს ერთ პროგრამაში. მან ვერ მიიღო დამაჯერებელი პასუხი დაწესებულებისგან თავის კითხვებზე.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა **საბჭოს თავმჯდომარემ**. მან აღნიშნა, რომ საბჭოს წევრის, თორნიკე ჯობავას საბჭოს სხდომიდან ადრე გასვლამ შექმნა გარკვეული

უხერხულობა და თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ სამომავლოდ თავმჯდომარესთან შეთანხმების გარეშე არ დატოვონ სხდომა და მთელი სხდომის განმავლობაში ჩართული ქონდეთ ვიდეოგამოსახულება. ინტერნეტთან დაკავშირებით არსებული პრობლემების თაობაზე კი დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ საბჭოს თავმჯდომარეს, სატელეფონო ან სხვა ნებისმიერი საშუალებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის დასასრულს განმარტა, რომ მართალია საბჭოს დისტანციურად სხდომის ჩატარების უფლება მიენიჭა, მაგრამ არ განისაზღვრა კონკრეტული პროცედურები, როგორ უნდა ჩატარდეს სხდომა ონლაინ რეჟიმში, რამაც გარკვეული სირთულე შეიძლება შეუქმნას საბჭოს მუშაობას. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ასეთი საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში, თავად დააწესონ და შეთანხმდნენ პროცედურის სამართლიან წესებზე, მინიმალურ მოთხოვნებზე და სტანდარტებზე, რომელსაც დაიცავენ დისტანციური მუშაობის დროს და რომელიც შესაბამისობაში იქნება ადმინისტრაციული წარმოების ზოგად პრინციპებთან. დღევანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა რეკომენდაციით, სხდომის მიმდინარეობისას საბჭოს წევრები აუცილებელი წესით იყვნენ ჩართული ვიდეოგამოსახულებით და გასვლის, ან ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობონ საბჭოს თავმჯდომარეს. საბჭოს თავმჯდომარე კი ვალდებულია, სხდომის წევრის გასვლის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს როგორც საბჭოს წევრებს, ასევე სხვა დამსწრე პირებს. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარის რეკომენდაციას.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 18:40 საათზე, სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი N 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00435	ლიფტების მონტაჟი და უსაფრთხო ექსპლოატაცია	გადამზადება	მეოთხე	7	ქართული	10	ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, მარნეულისქ., №46

დანართი N 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00439	ტუროპერატორი/რეგიონული დონე	გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	60	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, უნივერსიტეტის ქ. N2

დანართი N 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00440	ქალაქის/დედაქალაქის გიდი	გადამზადება	მეოთხე	9	ქართული	60	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, უნივერსიტეტის ქ. N2